



## საქართველო

### თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

#### **გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა** N 46 54

05/08/2015

#### საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონალური პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის #23 დადგენილების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად საკრებულომ, **გადაწყვიტა:**

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნას საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი შემდეგი საპროექტო წინადადება:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ახალთერჯოლაში, ზედა ალისუბანში და თუზში მშენებარე საბავშვო ბაგა-ბაღებისათვის ინვენტარის შეძენა (პროექტის სავარაუდო ღირებულება 81000 (ოთხმოცდაერთი ათასი) ლარი.

**მუხლი 2.** საპროექტო წინადადებები წარედგინოს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, დადგენილი წესით.

**მუხლი 3.** განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ავთანდილ ჩუბინიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო